ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9726145001**

თარიღი:**25/05/2026**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი N-10

დ. ლენტეხი 21 მაისი 2026წ.

მიმდინარე წლის 21 მაისს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 7(შვიდი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი, ა(ა) ი.პ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ლამზირა გუგავა, ო. ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური ცენტრის დირექტორი ოლეგი გულბიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა.**

   /მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2.ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში - 2026 წლის 3 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

4. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიკროავტობუსის ა(ა) ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისთვის სარგებლობის უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

5.ა(ა)ი.პ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

/მომხს: .ა(ა)ი.პ ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ლამზირა გუგავა/

6. ა(ა)ი.პ ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

/მომხს: ა(ა)ი.პ ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგი გულბიანი/

7.ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

8. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16-აპრილის N-05 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა დღის წესრიგის პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი N-10 სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ელდარი ლიპარტელიანმა შეკითხვა დასვა ქონების გადასახადის ოდენობასა და ცვლილებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების გადასახადი გაწერილია კვარტალურად 20-20%, მაგრამ რადგანაც მარტში ხდება დეკლარაციების შედგენა, ამიტომ ამ კვარტალში ფიქსირდება მაღალი გადასახადი..

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ხუტა მუკბანიანმა: ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს ინფრასტრუქტურის კუთხით. თითქმის ყველა ტენდერი ჩავარდნილია და არ გვაქვს წინსვლა. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი იდება ტენდერზე და არავის არაფერი არ შეგვიძლია. ჩვენი ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელშეწყობაა ის ფაქტი, რომ გამარჯვების შემთხვევაში არ ვაფერხებთ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის გამო და ვუფორმებთ ხელშეკრულებას.

დათო ფურელიანი: უნდა შევარბილოთ სატენდერო მოთხოვნები.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი კანონთან შესაბამისობაშია და კანონს ვერ დავარღვევთ.

სხვა შეკითხვა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საფინანსო სამსახურის ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიში - 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2.მოისმინეს: მერიის ეკონომიკურის განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკითხი განავრცო საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა: აღნიშნა, რომ ეკონომიკურ სამსახურს წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით დადებითი მუშაობა აქვს გაწეული. არის ერთი დაუმთავრებელი საკითხი სტალინის ქუჩაზე მდებარე სახლის აუქციონზე გატანასთან დაკავშირებით და ველოდებით ამ საკითხის დროულად დამთავრებას.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით აღძრულია საქმე და უახლოეს პერიოდში სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას.

ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ ეკონომიკური სამსახურის ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2026 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

3.მოისმინეს: მერიის ეკონომიკურის განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა: კომისიამ განიხილა ეს საკითხი და მიზანშეწონილად ჩათვალა ტარიფი იყოს ნული და რაც შეეხება მოძრაობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობის გრაფიკი დამტკიცდეს წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით.

კითხვა დასვა მურმან ტვილდიანმა: რა ჯდება წლის განმავლობაში აღნიშნული ტრანსპორტის მოძრაობა?

პასუხად მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა წარმოდგენილი დანართის მიხედვით ჯდება 35000ლარი.

სხვა შეკითხვა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ** დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანების მარშრუტების ინტენსივობისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ.

4. მოისმინეს: მერიის ეკონომიკურის განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიკროავტობუსის ა(ა) ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისთვის სარგებლობის უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.**

საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა შეკითხვა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიკროავტობუსის ა(ა) ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისთვის სარგებლობის უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ** დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიკროავტობუსის ა(ა) ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებისთვის სარგებლობის უსასყიდლო თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

5. მოისმინეს: ა(ა)ი.პ. ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მან ყურადღება გაამახვილა ავტორიზაციის პროცესზე და მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. აღნიშნა რომ ყველა ბაღი საჭიროებს ახალ ინვენტარს, არ არის მოწყობილი ეზოები, სველი წერტილები. ძალიან ცუდი მდგომარეობა ინფრასტრუქტურის კუთხით და რომ ადგილობრივი ხელმძთვანელობისგან სჭირდებათ თანადგომა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარეხი ონიანი დაინტერესდა აღსაზრდელების რაოდენობით. პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ გვყავს 120 (ასოცი) აღსაზრდელი.

საკრებულოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რატომ არის გაჩერებული ახალი ბაღის შენობის მშენებლობა?

პასუხად საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო მსჯელობა სახელმწიფო რწმუნებულთან შეხვედრის დროს და მოწოდებული ინფორმაციის თანახმად უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაოები.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

6. მოისმინეს: ა(ა)ი.პ ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ხელმძღვანელმა ოლეგი გულბიანმა სხდომის წევრებს გააცნო

ა(ა)ი.პ ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილი ანგარიში

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

დადებითად იქნა შეფასებული.

7. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - .ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის

განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის თანახმად: ა) უმაღლესი აკადემიური განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში;

ბ) სასურველია ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში მართვის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება.“;

2) დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგანმანათლებლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში;

ბ) სასურველია არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება ადრეული და სკოლამდელი განათლების, ან ადრეული ინტერვენციის სფეროში.

გ) გავლილი გადამზადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ -პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ -მოდულის მიხედვით.

3). დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფინანსებისა და მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში;

ბ) სასურველია ფინანსური და/ან მატერიალური რესურსების მართვის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.“;

4) . დანართის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში;

ბ) სასურველია ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.“;

5). დანართის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველ პერსონალს -აღმზრდელს აქვს აკადემიური უმაღლესი განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებულ პოზიციის შესაბამის დარგში.’’

6) . დანართის მე-11 მუხლს დაემატოს მე-5-პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს აქვს:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში;

ბ) სასურველია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.“;

7) . დანართის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ჯანმრთელობის დაცვის პერსონალს აქვს:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლება ან მინიმუმ პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში;

ბ) სასურველია სამედიცინო სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.“

8) .დანართის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კვებაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში ან მინიმუმ სრული ზოგადი განათლება;

ბ) სასურველია კვების ობიექტზე ან დაწესებულების ფარგლებში კვების უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.";

9) დანართის მე-15 მუხლს დაემატოს მე-4-პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კვების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) პროფესიული განათლება სასურსათო ტექნოლოგიის დარგში ან მინიმუმ სრული ზოგადი განათლება;

ბ) სასურველია კვების ობიექტებზე ან დაწესებულების ფარგლებში მზარეულად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.";

10) დანართის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მატერიალური რესურსის გამართულობაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) პროფესიული განათლება დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში ან მინიმუმ სრული ზოგადი განათლება;

ბ) სასურველია დაკავებული პოზიციის შესაბამის დარგში მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება.".

11) დანართის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მცენარეთა დაცვაზე პასუხისმგებელ პერსონალს აქვს:

ა) პროფესიული განათლება აგრარულ დარგში ან მინიმუმ სრული ზოგადი განათლება;

ბ) სასურველია მცენარეთა დაცვა/გამწვანების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1- წლიანი გამოცდილება."

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - .ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

8. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16-აპრილის N-05 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

წარმოდგენილი პროექტის თანახმად:

.შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16-აპრილის N-05 დადგენილებაში, დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით :

1. ,, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,, ე.გ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების დამატებითი წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-4-ე მუხლის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს’’

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N-1-ის 24-ე მუხლის მე-6-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონება, რომელიც გადაცემულია უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით, სარგებლობის ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდგომ, უნდა დაუბრუნდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.’’

3. დანართი N-1-ის 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 36. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესი

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი საფასურის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო ქირის საფასურს - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

2. მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყის საფასურს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო, ამ წესის 34-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურის არა- ნაკლები 5%-ის ოდენობით.

3.ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, გადაცემისას, ქირის საფასური განისაზღვრება ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.’’

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2026 წლის 16-აპრილის N-05 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 14 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი